

დანართი#1

შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“ს ღია საეთერო
მულტიპლექსპლატფორმის თავისუფალ რესურსთან
დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტი)

ჭიათურა

1 მარტი 2017 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“ ს მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“)

„იმერვიზია“-ს ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1,1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/TEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ. წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

- 1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ჭიათურა სოფ. ნავარძეთის სატელევიზიო ანძა (შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი)
- 1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე
- 1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი(SD /HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1 „იმერვიზია“-ს ზონაში ღია ეთერით 1მგბტ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს დღგ-ს გარეშე.

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
- დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თნხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01მარტიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე- 2018 წლის 01 მარტამდე.

რამაზ გამეზარდაშვილი

სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“-ს
დირექტორი

